ინფორმაცია დასახული სტრატეგიის ფარგლებში 2014 წელს განხორციელებული ღონისძიებებისა და პროგრამების შესრულების შესახებ

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

1. შესავალი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს[1] სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური[2] (შემდგომში - სამსახური) აგრძელებდა თავისი მთავარი ფუნქციის შესრულებას - ქვეყნის საფინანსო სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირების და მისი მდგრადობის უზრუნველყოფას, საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული სისტემის გაძღოლას და შემდგომ განვითარებას[3]. ამასთან ერთად, მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა საქმისწარმოების (დოკუმენტბრუნვის მენეჯმენტის[4]) ავტომატიზებული სისტემის, ადამიანური რესურსების[5], მერქნული რესურსების მართვის[6] და სხვა პროგრამული სისტემების შემდგომ სრულყოფაზე. ვითარდებოდა სამინისტროს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და შესაბამისი ICT[7]-ინფრასტრუქტურა. ხორციელდებოდა ახალი ელექტრონული სერვისების დაპროექტება, ტესტირება და იმპლემენტაცია; შესაბამისად ვითარდებოდა ე.წ. „ელექტრონული მმართველობის"[8] კომპონენტები. ეს საქმიანობა ხელს უწყობს ქვეყნის საფინანსო სისტემის მოდერნიზებას, აგრეთვე, ზოგადად გამჭვირვალე და ეფექტიანი მმართველობის[9] განვითარებას.

2. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS)

სისტემა შედგება 4 მძლავრი ელექტრონული კომპონენტისგან. სისტემის ძირითადი დანიშნულებაა საჯარო ფინანსების მართვის ყველა მოვლენის ზუსტი, დროული, სრულყოფილი, საიმედო, თანმიმდევრული და მუდმივად განახლებადი ინფორმაციის აღრიცხვა, ფინანსური ტრანზაქციების ღირებულების შემცირება, მენეჯმენტის დროული უზრუნველყოფა შესაბამისი რეპორტებით და სხვა.

სისტემა უზრუნველყოფს ასობით მომხმარებელი სახელმწიფო ორგანიზაციის დღიური 9,8 მილიონი ტრანზაქციისა და დღიური 1.2 მილიონი ბუღალტრული გატარების ტექნიკურ მხარდაჭერას. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი დამატებითი სტატისტიკური მონაცემი PFMS შემადგენელი ელექტრონული სისტემების მომხმარებელთა შესახებ:

<u>სახელმწიფო ხაზინის კომპონენტში:</u> ორგანიზაციათა რაოდენობა (განმკარგავები) – 438; მომხმარებელთა რაოდენობა - 1774 [1565 (სახელმწიფო ხაზინა - ცენტრალური ოფისი) + 79 (აფხაზეთის ა/რ) + 130 (აჭარის ა/რ)].

<u>ბიუჯეტის კომპონენტში:</u> მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა - 81 [53 (სახელმწიფო ბიუჯეტი) + 19 (აფხაზეთის ა/რ) + 9 (აჭარის ა/რ)]; მომხმარებელთა რაოდენობა - 229 [206 (სახელმწიფო ბიუჯეტი) + 9 (აფხაზეთის ა/რ) + 14 (აჭარის ა/რ)].

---

[1] http://www.mof.ge/
[2] http://www.fas.ge/
[3] http://www.fas.ge/Mission, http://www.fas.ge/Strategy
[4] Document Flow, Document Management, Task Management systems
[5] Human Resources Management System - eHRMS
[6] https://portal.anr.ge/#/MainPage
[7] Information and Communication Technologies
[8] Electronic Governance - E-Governance
[9] http://www.justice.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=794&lang_id=GEO

eBudget - სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა

სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების მართვა:

- გაგზავნილი ფაილების ნაერთზე ავტომატური მიბმა
- ხაზინის ან ბიუჯეტის სისტემებიდან იმპორტირებული მონაცემების რედაქტირების ფუნქციონალი შემოსავლებისა და გადასახდელების დანართების ფაქტებისა და გეგმების ნაწილებში
- იურიდიული პირების ძიების მექანიზმი
- ნაერთი ანგარიშგების დოკუმენტი - იურიდიული პირების მიხედვით დაჯგუფებული შემოსავლების, გადასახდელების, ბალანსების და მომუშავეთა რაოდენობრივი დანართები
- მიზნობრივი გრანტი:
- მიზნობრივი გრანტის ხელშეკრულებების ანგარიშგების დოკუმენტის ბიუჯეტის მხარჯავებისა და ადმინისტრირების პორტალებში მომზადება
- მიზნობრივი გრანტის ველში მიმდინარე წლის და წინა წლების ფაქტიური მონაცემების დაჯამება.
- შესრულდა ოთხნიშნა სავალუტო კოდის ამოღების და ვალიდაციის გაუქმების ამოცანა ბიუჯეტის სისტემის შემდეგი წერტილებიდან:
    - ორგანიზაციული სტრუქტურის აწყობა
    - სტრუქტურული ცვლილების ცნობა
    - ფაილის გაგზავნა
    - ნაერთი ბიუჯეტის აკინძვა/დამტკიცება.

ყოველწლიურ ბიუჯეტის კანონში ცვლილების საფუძველზე, შემუშავდა მომუშავეთა რაოდენობის ცვლილების ცნობების შექმნის მექანიზმი.

სისტემის რეფაქტორინგის ფარგლებში განხორციელდა:

1. ბაზების სტრუქტურის ანალიზი და ოპტიმიზაცია
1.1. ცხრილებების სახელების კონვენცია (convention)
1.2. ახალი სტრუქტურის შემუშავება
1.3. ბაზის ნორმალიზაცია (normalization)
1.4. ბაზის ინდექსაცია (index)
1.5. ცხრილების ფართიშენინგი (partitioning)
2. პროექტში არქიტექტურული ცვლილებები
2.1. ბაზასთან ურთიერთობის მეთოდის გაუმჯობესება (Ado.NET-იდან Entity Framework-ზე გადასვლა)
2.2. სერვისის DLL-ის დეცენტრალიზაციის სამუშაოები
2.3. Silverlight_სა და Telerik-ის ახალ ვერსიებზე გადასვლა
2.4. MVVM მოდელის განახლება/გაუმჯობესება
2.5. უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო სამუშაოები
2.5.1. სერვისებთან ავტორიზირებული და სანქცირებული ფორმით წვდომა (მაღალი პრივილეგიების მიღების შესაძლებლობები)
2.5.2. SQL Injection-ის საფრთხისგან სისტემის დაცვა
2.5.3. სხვა სისტემებთან (GLE, EDMS, Etreasury) ინფორმაციის ცვლის უსაფრთხოების ამაღლება.
2.6. რესურსების და ლოკალიზაციის მხარდაჭერა (სხვადასხვა ენებთან თავსებადობა)
3. ახალი ფუნქციონალი
3.1. ადმინისტრირების პორტალი
3.1.1. დონორების და თანამდებობების კლასიფიკატორები
3.1.2. GFS-2001-ის კონფიგურაციის დინამიზირება
3.1.3. სამუშაო პერიოდის ფარგლებში ბიუჯეტის დაფინანსების წყაროთა დინამიზირება

3.1.4. ბიუჯეტის დამტკიცებისას ფონდების შესაბამის ორგანიზაციებთან დაკავშირება
3.1.5. სამუშაო პერიოდის ფარგლებში ბიუჯეტის წლების დინამიზირება
3.1.6. სამუშაო პერიოდების კონსტრუქტორში „ბევრი-ბევრზე“ ტიპის კავშირების დამყარება
3.1.7. ნაერთის ფარგლებში მონაცემთა ცენტრალიზირებული იმპორტი და განახლება
3.2. მხარჯავების პორტალი
3.2.1. კანონში ცვლილების ცნობათა ჯაჭვების ფუნქციონალის გადმოტანა/ადაპტაცია მხარჯავების პორტალში
3.2.2. კონსტრუქტორში ორგანიზაციულ კლასიფიკატორთა შორის „ბევრი-ბევრზე“ ტიპის კავშირების დამყარების ფუნქციონალი
3.3. განხორციელდა დონორების სინქრონიზაციის ამოცანა, რომლის შედეგადაც PFMS-ის ფარგლებში სამივე სისტემა გადავიდა საერთო დონორების კლასიფიკაციაზე.
4. ცვლილებები არსებულ ფუნქციონალსა და ნავიგაციაში
4.1. მენეჯმენტის პორტალი
4.1.1. მენეჯმენტის პორტალის პირველი გვერდიდან ბიუჯეტის დაგეგმვასა და ადმინისტრირებაში მონაწილე სხვა პორტალებში გადასვლის ნავიგაცია
4.1. 2. კლასიფიკატორების შექმნისა და მართვის ფუნქციონალის შეტანა პერიოდის შიგნით
4.1. 3. კლასიფიკატორის ვერსიების მართვის მოქმედი ფუნქციონალის სისტემიდან ამოღება
4.1. 4. ფაილების დამაჯგუფებელი საკონტროლო თარიღების სისტემიდან ამოღება
4. 2. მხარჯავების პორტალი
4. 2.1. ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოტანა ორგანიზაციული სტრუქტურის აგების ფორმაზე
4. 2.2. შრომის ანაზღაურების კონვერტაციისა და ანალიტიკური ფორმის გატანა მოდალურ ფანჯარაში და რედიზაინი
4. 2.3. ფაილთან მუშაობის ისტორიის დახვეწა
4. 2.4. ზოგადი ნავიგაციის (სამუშაო პერიოდებსა და სიღრმეებს შორის მოძრაობა) დახვეწა
4. 3. ფისკალური პროგნოზირების პორტალი
4. 3.1. ზოგადი ნავიგაციის (სამუშაო პერიოდებსა და სიღრმეებს შორის მოძრაობა) დახვეწა
4. 3.2. ფაილის კონფიგურაციის ფუნქციონალის ნაწილობრივი გადატანა ადმინისტრირების პორტალში

5. ანგარიშგებები
5.1. ანგარიშგების ინტერაქტიულობის უზრუნველყოფა (ბაზისური პარამეტრების გადაცემის შესაძლებლობა)
5.2. ანასახის ანგარიშგების დოკუმენტის მომზადების პროცესის ოპტიმიზაცია
5.3. ბიუჯეტის თავების შესაბამის ანგარიშგებებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა
5.4. სისტემას დაემატა დინამიური ანგარიშგებების მოდული, რომელიც ანალიტიკური და სტანდარტული აღრიცხვის ანგარიშგებათა დინამიურად აგებისა და სხვადასხვა პორტალში განთავსების საშუალებას იძლევა. ამ მოდულის საშუალებით, სისტემის ადმინისტრატორს, საჭიროებებიდან გამომდინარე, შეუძლია შექმნას (ააგოს) სასურველი ფორმისა და განზომილებების მქონე ანგარიშგების დოკუმენტი და განათავსოს იგი სისტემის სხვადასხვა პორტალში შემდგომი მოხმარებისათვის
6. განხორციელდა ბიუჯეტის რეფაქტორიზირებული ვერსიის ტესტირება სისტემის ანალიტიკური კუთხით და, ასევე, ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის კურატორების მხრიდან.

7. ელექტრონული ბიუჯეტის სისტემის მოქმედ ვერსიაში განხორციელდა ცვლილებები ბიუჯეტის წარდგენისთვის მომზადების კუთხით.
ასევე, განხორციელდა რეფორმა - „ავტონომიური რესპუბლიკების, თვითმმართველი ერთეულებისა და სსიპ-ების ინტეგრირება სისტემაში“.

განხორციელდა ბიუჯეტირების სისტემაში თვითმმართველი ერთეულების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და სსიპ-ების ჩართვის რეფორმის პირველი და მეორე იტერაცია, რომელიც მოიცავს წლიური დაგეგმარების

ფაზას, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ნაწილში, ასევე კვარტალური ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესაბამისი ნაერთი ბიუჯეტის მართვის ფუნქციონალს.
რეფორმის პირველი და მეორე იტერაციის ფარგლებში სისტემას შეემატა 79 ბიუჯეტის (თვითმმართველი ერთეულის) მიხედვით ბიუჯეტირების პროცესის დამოუკიდებელი ადმინისტრირების შესაძლებლობა, რაც შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების დაგეგმარებასთან ერთად, მოიცავს ნაერთი ბიუჯეტების ადმინისტრირებისა და ბიუჯეტის ფარგლებში ანგარიშგების დოკუმენტებთან წვდომის შესაძლებლობას. რეფორმის პირველ და მეორე იტერაციაში ზემოთჩამოთვლილთან ერთად ცვლილება შევიდა რამოდენიმე ბაზისურ ფუნქციონალში, კერძოდ, სისტემის ფორმათა დაკონფიგურირება გახდა უფრო დინამიური, რადგან ცვლილებების შედეგად კონფიგურირებადია არ მხოლოდ სვეტები, არამედ სტრიქონებიც და ცხრილის ველების შევსების წესებიც. შედეგად სისტემაში შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ბიუჯეტებისთვის განაცხადის ფორმის განსხვავებული ვერსიების დაკონფიგურირება.
შეიცვალა სანავიგაციო და დაშვებების ნაწილი, კერძოდ, გაერთიანდა სისტემის „ბექ“- და „ფრონტ“ ოფისები და სისტემის ყველა მოდულთან წვდომა შესაძლებელი გახდა გარე ქსელიდან ერთ მისამართზე ავტორიზაციის შედეგად. გაუქმდა დაფინანსების წყაროები „გრანტი ნაშთი“, „კრედიტი ნაშთი“ და „სხვა ნაშთი“, ხოლო ნაშთის გამოყენების შესაბამისი ინფორმაცია მუხლობრივი ჩაშლის ნაცვლად შეიყვანება უშუალოდ კონვერტაციების ფორმაზე თითოეული საინვესტიციო პროექტისთვის ერთ რიცხვად. სისტემას შეემატა თვითმმართველი ერთეულებისთვის კვარტალური ბიუჯეტის მართვის ფუნქციონალი.
წლის ბოლო კვარტალში დასრულდა ბიუჯეტის დაზუსტების ნაწილზე მუშაობა, რის ფარგლებშიც სისტემას შეემატა ნორმატიული აქტების აღრიცხვის, ბიუჯეტებს შორის სხვადასხვა ტიპის ტრანსფერების გადარიცხვისა და კონსოლიდირების განახლებული ფუნქციონალი. სისტემაში სსიპების საკუთარი სახსრების დაზუსტების პროცესი შემუშავდა იმგვარად, რომ სსიპის წარმომადგენლებს მაკონტროლებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებლად შეუძლიათ რიგი ცვლილებების როგორც შექმნა, ასევე დამტკიცებაც.
ბიუჯეტების დაზუსტებების ნაწილში გაფართოვდა ხაზინის სისტემასთან საინტეგრაციო კავშირები, კერძოდ ნორმატიული აქტების ხარჯვის პროცესში ხაზინაში იგზავნება აქტით გამოყოფილი თანხების შესახებ ინფორმაცია ღონისძიებების მიხედვით და ხაზინის სისტემაც თავის მხრივ შესრულების მონაცემებს აწვდის საბიუჯეტო სისტემას ღონისძიებების ჭრილში.
დაზუსტებების დაბალანსებული ფორმით განსახორციელებლად სისტემაში გაფართოვდა კალათებისა და ჯაჭვების არსებული ფუნქციონალი, რომელიც შესაძლებელს ხდის გადასახდელების, შემოსულობებისა და ნაშთების სინქრონულ და დაბალანსებულ ცვლილებას. ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციონალი გადასახდელების მოდულის გარდა შეემატა შემოსულობებისა და ნაშთების მოდულსაც.
შეიცვალა ანასახის ფორმაც მასში სხვა ბიუჯეტების ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების ცალ-ცალკე ასახვის გზით.

eTreasury სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა

განხორციელდა ადგილობრივი თვითმართველი ერთეულების და სსიპ/ააიპ-ების სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე გადმოსვლისთვის საჭირო რიგი ცვლილებების შემუშავება და ახალი მოდულების დამატება.
აღნიშნული რეფორმის ფარგლებში: გაუმჯობესდა რაიონების, ტრანზიტების და შემოსულობის კოდების მართვის მოდული, რომლის ფარგლებშიც ხაზინის მომხმარებელს აქვს საშუალება ტექნიკური ჩარევების გარეშე, დამოუკიდებლად დაამატოს ხაზინის სისტემაში ახალი მონაწილე ორგანიზაცია და შექმნას მისი შესაბამისი შემოსულობების კოდები; გაუმჯობესდა ნორმატივების მართვის მოდული, რომლის ფარგლებში დაემატა ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას მართოს და მარტივად შეიტანოს საჭირო ცვლილებები ხაზინის სისტემაში არსებულ ნორმატივებში.
მოხდა სისტემის „ბექ”- და „ფრონტ“ მოდულების ინტერფეისის ნავიგაციის ცვლილება, სადაც დაემატა სხვადასხვა ბიუჯეტის არჩევის ფუნქციონალი.
სისტემის „ფრონტ“ ნაწილს დაემატა: ბანკში დეპოზიტის განთავსების ოპერაცია, რომელიც ტერიტორიულ ერთეულებს და სსიპ/ააიპ-ებს აძლევს საშუალებას მათი კუთვნილი თანხები განათავსონ ბანკში დეპოზიტზე;

თანხის სსიპ-ზე გადატანის ოპერაცია, რომლის ფარგლებში სსიპ/ააიპ-ებს აქვთ საშუალება მოახდინონ თანხის გადატანა სხვა ხაზინის მომსახურების ქვეშ არსებულ სსიპ-ებზე; ჩარიცხვების მოდული, რომელშიც სსიპ/ააიპ-ებს და ტერიტორიული ერთეულის ფინანსურ განყოფილებებს აქვთ საშუალება ნახონ, მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები; დეპოზიტების ოპერაციები, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს მართოს მათ დეპოზიტებზე ჩარიცხული თანხები; ბანკში დეპოზიტის განთავსების ოპერაცია, რომელიც ტერიტორიულ ერთეულებს და სსიპ / ააიპ-ებს აძლევს საშუალებას მათი კუთვნილი თანხები განათავსონ ბანკში დეპოზიტზე; თანხის სსიპ-ზე გადატანის ოპერაცია, რომლის ფარგლებში სსიპ / ააიპ-ებს აქვთ საშუალება მოახდინონ თანხის გადატანა სხვა ხაზინის მომსახურების ქვეშ არსებულ სსიპ-ებზე; ჩარიცხვების მოდული, რომელშიც სსიპ/ააიპ-ებს და ტერიტორიული ერთეულის ფინანსურ განყოფილებებს აქვთ საშუალება ნახონ, მათ ანგარიშებზე ჩარიცხული თანხები; დეპოზიტების ოპერაციები, რომელიც საშუალებას აძლევს შესაბამის ორგანიზაციებს მართოს მათ დეპოზიტებზე ჩარიცხული თანხები.

შემოსავლების სამსახურისთვის შემუშავდა ახალი ელექტრონული სერვისი, რომელიც აბრუნებს ინფორმაციას შემოსავლების სამსახურის ანგარიშზე ბანკიდან და ხაზინის სისტემიდან ჩარიცხული დავალებების შესახებ.

სისტემას დაემატა აღრიცხვის ახალი ელემენტი ღონისძიება, რომლის იმპორტი ხაზინის სისტემაში ხდება საბიუჯეტო სისტემიდან. მის ფარგლებში ხდება აღებული ვალდებულებების და მოთხოვნების თანხების კონტროლი.

სისტემას დაემატა შუალედური შრის ქვე-სისტემა, რომელშიც იმუშავებს ტერიტორიული ერთეულების ფინანსურ განყოფილებები. სისტემის მეშეობით ფინანსური განყოფილებები მოახდენენ მათი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციების ფინანსური საქმიანობის ადმინისტრირებას.

სისტემას დაემატა ანგარიშების მოდული. მოდულის ფარგლებში, სისტემა ავტომატურად ახდენს კონკრეტული ჩარიცხვის და ხარჯის შესაბამის ანგარიშს და აკონტროლებს ხარჯის გაწევის მომენტში შესაბამის ანგარიშზე საკმარისი რესურსის არსებობას.

eHRMS ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

განხორციელდა სისტემის სრულყოფა/დახვეწა სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, განახლდა არსებული ფუნქციონალი, დაემატა დაზღვევის კომპონენტი, შეიცვალა ინტერფეისი და კლასიფიკატორების მართვის სქემა, განახლდა თანამშრომლის პირადი ბარათი და დაიხვეწა მასში არსებული ჩანართები. ახალი რეესტრების დამატების შედეგად, მომხმარებელს მიეცა თანამშრომელთა პროფესიული კომპეტენციების, მართვის მოწმობისა და სადაზღვევო პოლისის შესახებ ინფორმაციის წარმოების შესაძლებლობა. განახლდა და დაიხვეწა კომპიუტერული უნარების აღრიცხვის ფორმა.

მოხდა სტატიკური ანგარიშგებების ფუნქციონალის განახლება და სრულყოფა. განახლების შედეგად, სისტემას დაემატა ახალი ანგარიშგებები: ანგარიშგება პირადი ბარათის შევსების შესახებ, ანგარიშგება თანამშრომლის დასწრებების შესახებ (დასწრების ტაბელის მიხედვით), თანამშრომელთა სადაზღვევო ინფორმაცია, დასწრების საშუალო მაჩვენებლების ანგარიშგება, ტურნიკეტის მონაცემების მიხედვით თანამშრომელთა დასწრების დეტალური ანგარიშგება.

ამჟამად, სისტემაში გენერირდება 40-ზე მეტი სხვადასხვა ანგარიში. დამატებით, თითოეულ ანგარიშგებაზე ხდება „რეპორტის გაშვების“ თარიღისა და დროის დატანა.

სისტემაში განახლდა სტაჟის მართვის ფუნქციონალი, განხორციელდა სამუშაო სტაჟის ჩანაწერების დალაგება თარიღების მიხედვით. ასევე, დაიხვეწა დასწრების მართვის ფუნქციონალი, კერძოდ, არსებული დასწრების ტიპებისთვის ხდება კანონით განსაზღვრული, წლის განმავლობაში გამოსაყენებლად დასაშვები დღეების ოდენობის განსაზღვრა, რის მიხედვითაც თითოეული თანამშრომლის პირად ბარათზე შესაძლებელია გამოყენებული დასწრებების მიხედვით გამოუყენებელი დღეების რაოდენობების დათვლა.

მივლინების მოდულში განხორციელდა ცვლილებები ფუნქციონალის დახვეწისა და სრულყოფის თვალსაზრისით.

განხორციელდა ოპტიმიზაციის პროცესი, რაც გულისხმობს სისტემის მუშაობის აჩქარებას. ოპტიმიზაციამ მოიცვა ისეთი პროცესები, როგორიცაა: ავტორიზაცია, ჩანართებზე გადასვლები, შეტყობინებების დათვალიერება, ფორმების გამოძახება/შენახვა, ანგარიშგებების გენერირება და სხვა. აღნიშნული ცვლილებები მომხმარებელს გაუმარტივებს სისტემაში მუშაობის, ანგარიშგებების დათვალიერებისა და მათი გენერირების პროცესს.

სისტემაში განსაზღვრულია მომხმარებლის დაშვების განსხვავებული დონეები. შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველზე კონკრეტულ მომხმარებელს ენიჭება სისტემაში დაშვების შესაბამისი დონე.

ასევე, განისაზღვრა ხედვითი უფლებები სტურქტურის ჩანართზე. კერძოდ, ქვედანაყოფებსა და თანამდებობების რეესტრში, მივლინებისა და ადმინისტრატორის ჩანართებზე, ოფისების, სადაზღვევო პაკეტების და სადაზღვევო კომპანიების რეესტრებში.

განხორციელდა ცვლილებები დიზაინსა და არსებულ ფუნქციონალში, რომელიც შეეხო თანამშრომლის პირად ბარათს, პირადი ბარათის ექსპორტირებას, შეტყობინებების ფუნქციონალს. შესაძლებელი გახდა თანამშრომლის პირადი ბარათის დამალვა (გვერდზე შეკეცვა). ასევე, დიზაინის მხრივ გაიმართა სტრუქტურის ჩანართზე არსებული სტატისტიკის ფუნქციონალი და დაიხვეწა სისტემაში ავტორიზაციის გვერდი. დამატებით, სისტემაში არსებული სავალდებულო შესავსები ველები წარმოდგენილია ვიზუალურად განსხვავებული სახით, მონიშნულია „ * “- სიმბოლოთი, რაც მომხმარებელს მუშაობის პროცესს უმარტივებს.

სისტემას, ავტორიზაციის გვერდზე, დაემატა მომხმარებლის სახელმძღვანელო და განახლდა საკონტაქტო ინფორმაცია.

კვლავ აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სისტემის განვითარებისა და სახელმწიფო სექტორის უწყებებში დანერგვის კუთხით, რაც აისახება სისტემის მომხმარებელთა რაოდენობის აქტიური ზრდით.

სისტემის დანერგვამდე ყველა უწყებასთან ფორმდება შესაბამისი კონტრაქტი, ტარდება ტრენინგები, რის შემდეგაც იწყება დანერგვის პროცესი.

ამჟამად, სისტემა დანერგილია 30-ზე მეტ სახელმწიფო სტრუქტურაში: *საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მის ყველა უწყებაში*[10], *საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში*[11], *სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში*[12], *სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოში*[13], *საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში*[14], *სსიპ ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრში*[15], *სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში*[16], *დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში*[17], *საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში*[18], *სახალხო დამცველის აპარატში*[19], *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში*[20], *აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში*[21], *საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრში*[22], *სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში*[23], *სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდში*[24]. *საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის*

[10] http://mof.ge/
[11] http://president.gov.ge/
[12] http://www.gcaa.ge/
[13] http://lta.gov.ge/
[14] http://www.culture.gov.ge/
[15] http://www.lsg.gov.ge/
[16] http://soa.gov.ge/
[17] http://www.diaspora.gov.ge/
[18] http://mra.gov.ge/
[19] http://www.ombudsman.ge/
[20] http://www.adjara.gov.ge/
[21] http://www.adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=5
[22] http://www.mrdi.gov.ge/ge/main.
[23] http://forestry.gov.ge/
[24] http://mdf.org.ge/

სამინისტროს სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში[25], საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოში[26], საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროში[27],საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში[28], საქართველოს რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ საავტომობილო გზების დეპარტამენტში[29], სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში[30], საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ ვ.კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში[31], სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროში[32], ,საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში[33], საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში[34].

სისტემის პრეზენტაციები ჩატარდა შემდეგ სახელმწიფო ორგანიზაციებში: *ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო[35], სამცხე-ჯავახეთი - სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაცია[36], სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი[37], სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი[38], კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია, თბილისის სატრანსპორტო კომპანია[39], განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო[40], სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო[41],საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში[42], გარემოსდაცვის სამინისტროში, სამეგრელო ზემო სვანეთის გუბერნიაში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ქ. თბილისის მერიის სსიპ ტექნოლოგიური განვითარების ფონდში.*

eDMS – სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

სისტემის საშინაო ვალის მოდულს დაემატა *სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების[43]* აუქციონთან დაკავშირებული ახალი ქვემოდული ყველა მნიშვნელოვანი შეთანხმების ასახვისა და ასლის ატვირთვისთვის და ახალი რეპორტი პერიოდების მიხედვით სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წმინდა ზრდის დასათვლელად.

სისტემის საშინაო ვალისა და მიზნობრივი გრანტის მოდულებში განხორციელდა ანგარიშგებების ფილტრების ოპტიმიზაცია.

---

25 http://www.ncdc.ge/
26 http://www.esida.ge/
27 http://www.energy.gov.ge/
28 http://rama.moh.gov.ge/
29 http://www.georoad.ge//
30 http://procurement.gov.ge/
31 http://komarovi.edu.ge//
32 http://www.csb.gov.ge/
33 http://ssa.gov.ge/
34 http://www.naec.ge/
35 http://www.economy.ge/
36 http://samtskhe-javakheti.gov.ge/
37 http://www.iliauni.edu.ge/
38 http://www.electionreforms.ge/
39 http://ttc.com.ge/
40 http://www.mes.gov.ge/
41 http://msy.gov.ge/
42 http://moa.gov.ge/
43 https://www.nbg.gov.ge/index.php?m=611

სისტემას დაემატა *საქართველოს ეროვნული ბანკის*[44] სტატუსების ავტომატური განახლების ფუნქციონალი.

პროექტის გადახდების და ჩამორიცხვების ნაწილს დაემატა დოლარის ვალუტაში ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად თანხის ავტომატური გადაანგარიშების ფუნქციონალი გადახდის/ჩამორიცხვის თარიღის მიხედვით.

განხორციელდა სისტემის სატესტო გარემოდან *მუნიციპალური განვითარების ფონდის*[45] სესხების მიგრაცია სისტემის რეალურ გარემოში.

მიმდინარეობს მუშაობა ემისიის კალენდრის შედგენის ფუნქციონალზე, რომელიც ითვალისწინებს სისტემაში მრავალწლიანი ემისიის კალენდრის შედგენას ფინანსური ანალიზის გასამარტივებლად.

განხორციელდა გადახდის შეტყობინების ელექტრონული სერვისის ოპტიმიზაცია.

სისტემას დაემატა სავალუტო კურსებთან მუშაობის ახალი ფუნქციონალი, რომლის ფარგლებში:

- შემუშავდა სავალუტო კურსების ახალი მოდული
- განხორციელდა ეროვნული ბანკის მიერ 1996 წლიდან მოყოლებული ყველა დადგენილი სავალუტო კურსის სისტემაში იმპორტი
- განხორციელდა ეროვნული ბანკიდან კურსების წამოღების ელექტრონული სერვისის ოპტიმიზაცია.

შემუშავდა BDT (Build Deploy Test[46]) ფუნქციონალი, რომლის ფარგლებში შეიქმნა სისტემის ავტომატური ტესტირების სცენარები. მისი მეშვეობით სისტემის ყოველი განახლებისას ხდება სისტემიდან შესრულებული ოპერაციების და რეპორტის მონაცემების კორექტულობის შემოწმება.
სისტემას დაემატა გეგმიური კალენდარის შედგენის ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებლის მიერ მითითებულ მომდევნო წლების განმავლობაში მისაღებ წმინდა ზრდის მაჩვენებელზე აგენერირებს მომდევნო წლებში გამოსაშვები ემისიების და განსახორციელებელი დაფარვების დეტალურ კალენდარს.

მოხდა აუქციონების რედაქტირების პროცესის ოპტიმიზაცია, რომლის მეშვეობით ხდება გადახდების გრაფიკის ავტომატური გადათვლა.

ეროვნული ბანკის სესხზე დაემატა დოკუმენტების რეგისტრი, რომელიც იძლევა საშალებას ერთ წერტილში მოხდეს შენახვა სესხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი შეთანხმების და დოკუმენტის.

მოხდა საშინაო ვალის მოდულში არსებული რეპორტების ოპტიმიზაცია.

ბიუჯეტიდან გაცემულ სესხებში მოხდა რესტრუქტურიზაციის მოდულის მოდიფიკაცია, რომლის ფარგლებში დაემატა ჯარიმების რესტრუქტურიზაციის ფუქნცია.

განხორციელდა დეტალურ ინფორამციაში არამიზნობრივად გახარჯული თანხის დამატების ასახვა გადახდების გრაფიკში შესაბამის თარიღითა და სტატუსით.

საბიუჯეტო ინფორმაციი მოდულში განხორციელდა პროექტის ინფორმაციის ფორმისა და ბიუჯეტში გასაგზავნი ფაილის მოდიფიცირება.

სისტემაში დაემატა რეპორტების ავტომატური ტესტები, რომლის მეშვეობით ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია ანგარიშგებებში ამოსული მონაცემების კორექტულობის შემოწმება.

[44] https://www.nbg.gov.ge
[45] http://mdf.ge/
[46] http://msdn.microsoft.com/en-us/library/hh191495.aspx

ინფრასტრუქტურა

განხორციელდა EMC VPLEX ტექნოლოგიაზე დაფუძნებული არქიტექტურა ძირითად და სარეზერვო მონაცემთა ცენტრებს შორის, რის ბაზაზეც ორივე მონაცემთა ცენტრი ოპერირებს active-active რეჟიმში. გაძლიერდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობები 10 გიგაბიტამდე ტრაფიკის გასატარებლად. დაინერგა ახალი თაობის VNX მონაცემთა შენახვის სისტემა. მიმდინარეობს System Center-ის კომპონენტების დანერგვა.

PFMS რეფორმა

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების ფინანსური პროცესების, ასევე, სსიპ-ების საკუთარი სახსრების აღრიცხვის საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში ინტეგრირების პროექტის ფარგლებში, დაგეგმვის ტრენინგი ჩაუტარდა შესაბამისი ორგანიზაციების 505 თანამშრომელს. მათ შორის:

eBudget (ადგილობრივი თვითმმართველობები) - 226

eTresury (ადგილობრივი თვითმმართველობები) - 199

eTresury (სსიპ-ები) – 80.

3. სხვა ავტომატიზებული სისტემების შექმნა-განვითარება-დანერგვის სამუშაოები

eDocument - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

განვითარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, განხორციელდა სისტემის სამი მსხვილმასშტაბიანი განახლება. განახლებები შეეხო სისტემის ექსპორტის, პროფილების (განლაგების) მართვის, საკონტაქტო ინფორმაციის, ე.წ. მრჩეველისა და სხვა ფუნქციონალებს.

ჩატარდა სისტემის სრული ოპტიმიზაცია ნავიგაციის სისწრაფის მომატების მიზნით. დასრულდა „საერთო საკომუნიკაციო სერვისის“ ანალიტიკური სამუშაოების 80%. დაიგეგმა შემდეგი ორი განახლების დეტალები და დაიწყო პროგრამირება.

დანერგვა

ჩატარდა მომხმარებელთა ტრენინგი და სისტემა დაინერგა 34 ახალ ორგანიზაციაში (მათ შორის, 21 თვითმმართველ ერთეულში). 2015 წელს დაგეგმილია სისტემის დანერგვა 51 თვითმმართველ ერთეულში.

ვერსიის განახლება

სისტემის ვერსია განახლდა მომხმარებელ 47 ორგანიზაციაში. შემუშავდა დარჩენილ 9 ორგანიზაციაში განახლებული ვერსიის დანერგვის გრაფიკი.

სისტემათშორისი ინტეგრაციის განვითარების მიზნით, ჩატარდა სამუშაო შეხვედრები შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროების შესაბამის უწყებებთან, მიმდინარე და სამომავლო ამოცანების შესრულების გრაფიკისა და პასუხისმგებლობების განაწილებების მიზნებით.

eNRMS - მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა

ტყის რესურსის მართვის მოდული:

დამუშავდა და ანალიზი ჩაუტარდა ხე-ტყით მოსარგებლე კომლთა სიებს, რის შედეგადაც დაკმაყოფილდა მე-2 ხარისხის მერქნული რესურსით მოსარგებლე 426,178 კომლი. ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და ლიბერთი ბანკს შორის დაინერგა ახალი სერვისი, რომელიც ითვალისწინებს გარეშე მომსახურების და მოსაკრებლის თანხების გამოგზავნას ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის. შემუშავდა სოციალური ჭრის მიზნით გამოყოფილი ტყეკაფების 23 თვიანი პროცედურა ლიბერთი ბანკსა და ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის. შემუშავდა ხე-ტყის დამზადების ბილეთის ვადებისა და თანხების კონტროლის ფუნქციონალი. ტყის კოდექსის კანონმდებლობის ფარგლებში, განხორციელდა ახალი მოდულის მომზადება, რომელიც ითვალისწინებს დამზადების ბილეთების შექმნას სამსახურების მიხედვით. შემუშავდა გასწორება-ანგარიშგების ფუნქციონალი წარმოშობის დოკუმენტის ვერსიებს შორის. შემუშავდა სოციალური ჭრის მიზნით გამოყოფილი დასახური ტყეკაფების ანგარიშგების ფუნქციონალი.

შემუშავდა და განხორციელდა მრგვალი მორის მოძრაობის წარმოშობის დოკუმენტის გაუქმების ახალი მოდული, რომელიც მოიცავს როგორც ძირითადი დოკუმენტის ასევე გამოწერილი ფირნიშების განულებას და გაუქმებული დოკუმენტების საფუძველზე, ახალი წარმოშობის დოკუმენტის გამოწერას, რისი გაკონტროლებაც ხდება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების სისტემასთან. აღნიშნული მოდულის დანერგვა მოხდა სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს, აჭარის სატყეო სააგენტოს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში. კერძოდ სწავლება ჩაუტარდა 227 თანამშრომელს.

შემუშავდა და განხორციელდა მერქნული რესურსების მართვის მომხმარებლებისა და უფლებების მართვის სისტემის ახალი მოდული, რომელიც მოიცავს ერთი მომხმარებლის ფარგლებში სხვადასხვა ჭრის მიზნისთვის ღილაკების ფუნქციის გარდაქმნას.

რეფორმის ფარგლებში განხორციელდა მაღალმთიანი მოსახლეობის გაზრდილი მოცულობით დაკმაყოფილება (მაღალმთიან სოფლებს მიეწოდებათ 15მ^3 მეორე ხარისხის მერქანი).

კომლების რაოდენობამ შეადგინა: 118,102.

რეფორმის ფარგლებში განხორციელდა სსიპ-ბის გადაყვანა ბანკების ანგარიშებიდან სახაზინო ანგარიშებზე, გადაყვანილია:

- სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო;
- სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;
- სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში განხორციელდა ცვლილება ბანკის სერვისში.

შემუშავდა და განხორციელდა ტყის რესურსის ანგარიშგების მოდული, რომელიც მოიცავს შემდეგ ანგარიშებს:

- მეორე ხარისხის ხე-ტყით მოსარგებლეთა ანგარიში;
- გასაუქმებელი ტყეკაფები;
- ტყეკაფის გარეშე გაცემული წარმოშობის დოკუმენტები;
- ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გამოწერილი მოცულობა;
- ხე-ტყის ათვისებული მოცულობა.

სახერხი საამქროს მართვის მოდული:

შემუშავდა მიღება-გადამუშავების, პირველადი პროდუქტის ყოველთვიური ანგარიშის წარდგენის ცვლილების და ნულოვანი ანგარიშის დაზუსტების ფუნქციონალი. შემუშავდა ყველა გადასამუშავებელი მრგვალი მორის ანგარიშგების ფუნქციონალი მარკირების მიხედვით.

ელექტრონული მოწყობილობა:

შემუშავდა GPS - კოორდინატების მეტრულ განზომილებაში მიღების ფუნქციონალი.

ელექტრონული ნებართვები და ლიცენზიები

შემუშავდა და განხორციელდა ახალი მეთოდი ლიცენზიების, ნებართვების და სერთიფიკატების ელექტრონული გაგზავნის კუთხით (სერვისი შემოსავლების სამსახურთან), საბაჟო კონტროლის ღონისძიებების განხორციელების მიზნით.
რეფორმის ფარგლებში მოხდა სსიპ შემოსავლების სამსახურისთვის წარსადგენი ყველა გაცემული ნებართვისა და ლიცენზიის შესახებ მონაცემების ელექტრონულად გაგზავნა.
განისაზღვრა ნებართვებისა და ლიცენზიების კონკრეტული ტიპები რომელიც ელექტრონულად მიეწოდება საბაჟო გამშვებ პუნქტებს:

- რადიოაქტიური ნარჩენების ექსპორტის ნებართვა;
- რადიოაქტიური მასალების, ნედლეულის, რომლებიდანაც შესაძლებელია ბირთვული მასალის მიღება ან წარმოება, დანადგარების, რომლებიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ბირთვული ტექნოლოგიების ან ნოუ-ჰაუს იმპორტი, ექსპორტი, აგრეთვე რადიოაქტიური წყაროების ექსპორტი, იმპორტი და ტრანზიტის ნებართვა;
- „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორის და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვა;
- ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩითა და ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ" კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით ან/და ყოჩივარდას გორგლებით სარგებლობის ლიცენზია.

eVMS - ვიზიტორთა მართვის ელექტრონული სისტემა

შემუშავდა, დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საშვთა ბიუროს მართვის ელექტრონული მოძველებული სისტემის ჩანაცვლება ახალი სისტემით.
ვიზიტორთა მართვის ახალი სისტემის ფარგლებში შესაძლებელია:

- ვიზიტორების აღრიცხვა საშვთა ბიუროს წარმომადგენლის მიერ
- ვიზიტორების აღრიცხვა უფლებამოსილი პირის მიერ
- მომხმარებლების რეგისტრირება და როლების განსაზღვრა
- სისტემის კლასიფიკატორების მომზადება
- ანგარიშგება ნებისმიერი ძებნის კრიტერიუმით

სისტემის დანერგვის წინაპირობები
პირველი ეტაპი:

- ძველი სისტემიდან მიგრაცია - დამუშავდა და ანალიზი ჩაუტარდა 243,444 ფინანსთა სამინისტროში მიღებული სტუმრის ინფორმაციას (ჩანაწერს)
- სრული მიგრაცია სისტემაში
- სისტემაში დარეგისტრირდა - 117 უფლებამოსილი პირი
- სისტემაში დარეგისტრირდა - 5 საშვთა ბიუროს წარმომადგენელი
- სწავლება ჩაუტარდა - 12 მომხმარებელს
- მომზადდა მომხმარებლის სახელმძღვანელო.

მეორე ეტაპი:

- იგეგმება რეგისტრირებული უფლებამოსილი პირებისთვის (117) სწავლების ჩატარება.
- უფლებამოსილ პირს მიეცემა საშუალება საშვთა ბიუროს წარმომადგენლის გარეშე დაანონსოს სტუმრის ვიზიტი საშვთა ბიუროში.

eAuction - ელექტრონული აუქციონი

შემუშავდა ლოტის დეტალურ გვერდზე ამავე კატეგორიის ლოტების გამოტანის სლაიდი.
დასრულდა მუშაობა ონლაინ-კონსულტაციის ფუნქციონალის რეალიზაციაზე და განთავსდა რეალურ გარემოში. ასევე, გაკეთდა შესაბამისი ანგარიშების გენერირების ფორმები.
დასრულდა IOS მობილური აპლიკაციის მეორე ვერსია და მიმდინარეობს ოპტიმიზაცია.
შემუშავდა ვაჭრობის შეზღუდვის ფუნქციონალი კონკრეტული მომხმარებლის ტიპისათვის.
დასრულდა და რეალურ გარემოშია საქართველოს ბანკის ელექტრონული კომერციის მოდული.
სისტემის გადახდების, შედეგების და მომხმარებლების ნაწილში ჩატარდა ოპტიმიზაცია.
განახლდა მომხმარებლის რეგისტრაციის ფორმა.
შემუშავდა გადახდების აქტივაციის ანგარიში მომხმარებლების მიხედვით.
ოპტიმიზაცია ჩაუტარდა ადმინისტრირების მოდულში მომხმარებელთა განაცხადების სორტირებას.
ოპტიმიზაცია ჩაუტარდა სამუშაო სიის მოდულს. შესაძლებელი გახდა ერთზე მეტი ლოტის ერთდროულად დადასტურება.
შემუშავდა ლიბერთი ბანკის ბილინგის საგადახდო სისტემისთვის საგარანტიო თანხის ჩამოჭრის შემთხვევაში ახალი ტიპის დანიშნულების მოდული.
შემუშავდა ქვეყნის სატელეფონო კოდების ადმინისტრირების მოდული.
შემუშავდა ავტორიზებული მომხმარებლის ნავიგაციის ისტორიის შენახვის ფუნქციონალი.
კანონის შესაბამისად შესრულდა სატრანზიტო და ძირითადი ანგარიშების ცვლილებები ელექტრონულ საგადახდო სისტემებში(ელ კომერცია, ბილინგი, eMoney).
ოპტიმიზაცია ჩაუტარდა აუქციონის შედეგების და აუქციონის სტატისტიკურ რეპორტებს ადმინისტრირების მხარეს და შესაბამისად შესაძლებელია, როგორც კატეგორიის მიხედვით შედეგის(ების) ლოტების მოძიება, ასევე გადახდის მეთოდებით(ელ კომერცია) ოპერაციების იდენტიფიცირება.
საიტს დაემატა ლოტის გვერდზე QR კოდის ფორმა, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ პირს ეძლევა საშუალება QR კოდ წამკითხველით თავის მობილურ მოწყობილობაზე გახსნას შესაბამისი ლოტი.

ATMS - ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის დავალებების მართვის სისტემა

შემუშავდა შიდა მოხმარების სისტემა, რომლის გამოყენებით ხდება ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტმენტში შემავალი სამმართველოების შესასრულებელი და შესრულებული დავალებების აღრიცხვა და კონტროლი. ამჟამად, სისტემაში რეგისტრირებულია 35 მომხმარებელი და აღრიცხულია 475-მდე დავალება.

eAIMS - საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა

განხორციელდა სისტემის ახალი ვერსიის შემუშავება ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე. კერძოდ შეიცვალა სისტემის ინტერფეისი, არსებული ფუნქციონალი დაიხვეწა და დაემატა ახალი კლასიფიკატორები, როგორიც არის მთავრობის პრიორიტეტები, სექტორები, დაფინანსების წყარო, დამფინანსებელი სააგენტო, გეოგრაფიული მდებარეობა. განახლდა და დაიხვეწა ძირითადი ინფორმაციისა და ჩამორიცხვების ფორმები. სისტემას დაემატა ვალუტის კურსები, რომლის განახლებაც ხდება ავტომატურად ეროვნული ბანკის კურსის შესაბამისად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა სისტემის ტესტირებზე ხარვეზების აღმოფხვრისა და შემდგომი განვითარების კუთხით.

4. პორტალები, ვებგვერდები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის სატესტო ვერსია - http://test.mof.ge
დასრულდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის შექმნა.
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ვებგვერდის სატესტო ვერსია - http://dev.mof.ge/MFA

საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შექმნილი დიზაინის მიხედვით მოხდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე (Kentico CMS). მიმდინარეობს კონტენტის შევსება საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ, რის შემდეგაც მოხდება ძველი ვებგვერდის ჩანაცვლება ახლით.

ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ვებგვერდის განახლება - http://mofacademy.ge

ცვლილებები შევიდა აუდიტორთა რეგისტრაციის აპლიკაციაში. შეიქმნა ახალი ფლეშბანერები. ცვლილებები შევიდა სერტიფიკატების გაცემის სისტემაში. შეიქმნა სამი სარეგისტრაციო ფორმა და ადმინისტრირების პანელი „სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის“ ტრენინგებისათვის. სარეგისტრაციო ფორმების საშუალებით ადგილობრივი თვითმართველობების, სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები რეგისტრირდებიან მათთვის სასურველ ტრენინგზე.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი - www.iec.gov.ge

შემუშავდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი განათლების საერთაშორისო ცენტრის ვებგვერდი და აპლიკაცია, რომლის საშუალებით მოხდა აპლიკანტთა რეგისტრაცია სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე, დაფინანსების მოპოვების მსურველთათვის. დარეგისტრირდა 1279 აპლიკანტი, პროგრამების მიხედვით არჩევანი 514 -მა აპლიკანტმა დააფიქსირა, რომელთაგან 78 -მა მოიპოვა სწავლის დაფინანსება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში. რეგისტრაციის პერიოდში 100-მდე აპლიკანტს გაეწია ტექნიკური მხარდაჭერა ელ.-ფოსტის საშუალებით.

რეგისტრაციის მეორე ნაკადისათვის (3 ნოემბერი - 19 დეკემბერი) მოხდა აპლიკაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. დაემატა განათლების საერთაშორისო ცენტრის ადმინისტრაციის შეფასებისა და კომისიის წევრის შეფასების მოდულები, ასევე აპლიკანტთათვის გასაუბრებაზე რეგისტრაციის მოდული.

eAudit შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის სამმართველოს (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო) ელექტრონული აღრიცხვის სისტემა - http://test.eaudit.fas.ge/

სისტემა შემუშავდა და გადაეცა შიდა აუდიტის ჰარმონიზაციის სამმართველოს ტესტირებისათვის.

სისტემა უზრუნველყოფს: შიდა აუდიტორთა სამსახურეობრივი თანამდებობების, განათლების, სამუშაოს და სხვა საჭირო ინფორმაციის რეესტრის წარმოებას, ჩატარებული და დაგეგმილი ტრენინგების და სამუშაო შეხვედრების აღრიცხვას, ტრენერების რეესტრის წარმოებას, თითოეული აუდიტორის, ტრენერის და ტრენინგის მიხედვით ანგარიშის მიღებას.

eIRS სტაჟიორთა ვებგვერდი და რეგისტრაციის სისტემა საჯარო სამსახურის ბიუროსთვის - http://stajireba.gov.ge/, https://app.stajireba.gov.ge/Account/adminlogin

შეიქმნა საინფორმაციო ვებ გვერდი იმ სტუდენტებისა და უმაღლეს სასწავლებლების კურსდამთავრებულთათვის, რომლებსაც სურთ საჯარო სამსახურში სტაჟირების გავლა. შეიქმნა სტაჟიორთა რეგისტრაციის ელექტრონული სისტემა, რომლის საშუალებითაც საჯარო სამსახურების მიერ მოწოდებულ ვაკანსიებზე მიმდინარე წლის 15-25 სექტემბერს დარეგისტრირდა 1200 -ზე მეტი სტაჟიორი. პირველი ნაკადის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ შეიცვალა რეგისტრაციისა და ავტორიზაციის სისტემა, ცვლილებები შევიდა ადმინისტრირების პანელშიც. დაემატა ორგანიზაციის გვერდი.

საქართველოს პრეზიდენტის ახალი ვებგვერდი - http://dev.mof.ge/President

შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი. მოხდა ვებგვერდის ხელახლა აწყობა ახალ ვებძრავზე. ამჟამად მიმდინარეობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული ცვლილებების შეტანა ვებგვერდის დიზაინში.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდი - http://dev.mof.ge/eiec

გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრის ადმინისტრაციის თხოვნით შეიქმნა ვებგვერდის ახალი დიზაინი. განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე. შეიქმნა გარემოსდაცვით თემებზე მომუშავე ორგანიზაციების და მათი აქტივობების ამსახველი აპლიკაცია, რომელიც ინტეგრირებულია ვებგვერდზე. მიმდინარეობს მუშაობა გარემოს ზემოქმედების ნებართვების სისტემაზე.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემა

შემუშავების პროცესშია გარემოსდაცვითი ინფორმაციის მართვის სისტემის დიზაინი.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებგვერდი -

http://dev.mof.ge/Insurance
შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი, განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე. ამჟამად მიმდინარეობს კონტენტის ატვირთვა.
კულტურის პოლიტიკის ვებგვერდი - http://culturepolicy.ge/
შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი, განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე. უმოკლეს დროში შეიქმნა და გაეშვა ვებგვერდის გამარტივებული ვერსია. მიმდინარეობს სრული ვერსიის შექმნა - ვებგვერდს ემატება მენიუს პუნქტები, კალენდარი, კონტენტი.
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ახალი ვებგვერდი - http://www.procurement.gov.ge/
შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი, განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე.
ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ახალი ვებგვერდი - http://dev.mof.ge/Service
შემუშავდა ვებგვერდის დიზაინი, განხორციელდა ვებგვერდის აწყობა ახალ ვებძრავზე. მუშავდება შიდა გვერდების დიზაინი. მიმდინარეობს მკაცრი აღრიცხვის ფორმების (მაფ) რეგისტრაციის სისტემის ტექნიკური დავალების მომზადება. მაფ რეგისტრაციის სისტემის ინტეგრაცია მოხდება მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალი ვებგვერდი - http://is.ge
შეიქმნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალი ვებგვერდი.
ვირტუალური ზონის პირის რეგისტრაციის ვებგვერდის ადმინისტრირების პანელი -http://newzone.mof.ge
შემუშავდა შემოსავლების სამსახურისთვის გაგზავნილი სერტიფიკატების აღრიცხვის მექანიზმი. შეიქმნა ვირტუალური ზონის პირის რეგისტრაციის ვებგვერდისათვის ახალი ადმინისტრირების პანელი.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ვებგვერდის განახლება - www.treasury.ge
შეიცვალა მენიუ, გაუქმდა ავტორიზაციის მოდული.
eAIMS საერთაშორისო დახმარებების მართვის სისტემა - http://eaims.ge
შეიქმნა სისტემის ახალი დიზაინი და HTML მარკირება .
ელეტრონული აუქციონის ვებგვერდის რედიზაინი - www.eauction.ge
შეიქმნა ვებგვერდის ახალი დიზაინი, მობილური ვერსიების დიზაინი და HTML მარკირება Windows Mobile და iOS ოპერაციული სისტემებისთვის.

5. საზოგადოებასთან ურთიერთობა

სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:
მიმდინარეობდა მის-ის მუდმივი მონიტორინგი ქვეყანაში IT სფეროში მნიშვნელოვანი ამბებისა და სიახლეების გამოვლენის მიზნით;
მომზადდა და სამსახურის კორპორატიულ ვებგვერდზე, ფინანსთა სამინისტროს კორპორატიულ ვებგვერდსა და ფეისბუქზე, საინფორმაციო სააგენტოებში IPN, GHN, MediaNews, PIA გავრცელდა 15 ინფორმაცია სამსახურის საქმიანობისა და სიახლეების შესახებ;
მომზადდა და სამსახურის კორპორატიულ ვებგვერდზე, ფინანსთა სამინისტროს კორპორატიულ ვებგვერდსა და ფეისბუქზე და საინფორმაციო სააგენტოებში IPN, GHN, MediaNews, PIA გავრცელდა ინფორმაცია სამსახურის შექმნისა და საქმიანობის ოთხი წლის იუბილესთან დაკავშირებით;
გამოიცა (ქართულად და ინგლისურად) სამსახურის საქმიანობის ამსახველი განახლებული ბუკლეტი „ინოვაციური გადაწყვეტილებები სახელმწიფოს სამსახურში“;
გამოიცა სამსახურის ორი პროდუქტის - საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემისა (eDocument) და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) ბუკლეტები;
მომზადდა და ორ ენაზე (ქართული და ინგლისური) გამოიცა ბუკლეტი სამსახურის ახალი მომსახურების - eCloud (ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები) შესახებ;
სამსახურის პროდუქტების სამიზნე აუდიტორიებში რეკლამირების მიზნით დამზადდა ორი ბანერი;

დამზადდა 3,5 წუთიანი ანიმაციური საპრეზენტაციო ფილმი საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ახალი მომსახურების - eCloud (ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები) შესახებ;
სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს ფინანსთა სამინისტროს ფარგლებში გამართულ ღონისძიებაში, სადაც წარმოადგინა თავისი საქმიანობა და პროდუქტები;
სამსახურის ვებგვერდზე განახლდა ინფორმაცია საქმიანობის, პროდუქტების, პროექტების, მომსახურების და ა.შ. შესახებ;
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროფილის ჟურნალ „ზეტი"-თვის მომზადდა და დაიბეჭდა სარეკლამო გვერდი და სტატია „საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ელექტრონული სერვისები თქვენი საქმიანობის გამარტივებისათვის";
სამსახურმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კიბერუსაფრთხოებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების მე-7 რეგიონალურ კონფერენციაში - GITI 2014;
4 დეკემბერს, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა გამართა პრეზენტაცია და სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს გააცნო თავისი ახალი მომსახურება eCloud-ღრუბლოვანი გამოთვლითი ტექნოლოგიები;
პრეზენტაციის ამსახველი სიუჟეტები გაშუქდა ტელეკომპანიებსა („იმედი", „TV 3", „ერთსულოვნება") და ელექტრონულ მედიაში.

6. ინფორმაციული უსაფრთხოება, ინფრასტრუქტურის განვითარება და მხარდაჭერა

განხორციელდა EMC VPLEX ტექნოლოგიაზე დაფუძნებული არქიტექტურა ძირითად და სარეზერვო მონაცემთა ცენტრებს შორის, რის ბაზაზეც ორივე მონაცემთა ცენტრი ოპერირებს active-active რეჟიმში. მონაცემთა შენახვის სისტემების ვირტუალიზაცია საფუძვლად დაედო ელექტრონული სისტემების მაღალმდგრადობის მიღწევას. გაძლიერდა ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობილობები 10 გიგაბიტამდე ტრაფიკის გასატარებლად. დაინერგა ახალი თაობის VNX მონაცემთა შენახვის სისტემა, რომელიც ინტეგრირებულია VPLEX სისტემებასთან და ოპერირებს ვირტუალური მონაცემთა შენახვის სისტემის რეჟიმში. მიმდინარეობს System Center-ის კომპონენტების დანერგვა, რაც გახდება ცვლილებების, ინციდენტებისა და მოთხოვნების მართვის და სერვისების მონიტორინგის ბაზისი. ქსელური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად განხორციელდა McAfee Behavior Analysis ინსტრუმენტების და ინტერნეტის ტრაფიკის მონიტორინგის სისტემის დანერგვა.

7. სწავლება და კონსულტაციები

2014 წლის განმავლობაში სხვა უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა შემდეგი ტრენინგების, სემინარების და კონსულტაციების ციკლი:
საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument - 82 ორგანიზაცია, 6352 მომხმარებელი; მ.შ. ადგილობრივი თვითმმართველობის 27 ორგანო, 2217 მომხმარებელი.
სახელწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა eTreasury - 438 მომხმარებელი, მ.შ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები - 45 მომხმარებელი და ადგილობრივი თვითმმართველობების 383 თანამშრომელმა.
ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის სწავლება გაიარა ადგილობრივი თვითმმართველობების 226 თანამშრომელმა.
ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა (eHRMS) – 27 ორგანიზაცია, 82 მომხმარებელი.
სულ - 7098 მომხმარებელი.
ცხელი ხაზი 511-ით სარგებლობა:
მიღებულია 26291 მომართვა სხვადასხვა მომსახურებაზე.
გაწეულია 21696 სატელეფონო ან online კონსულტაცია, მ.შ.: eDocument – 8638 კონსულტაცია; eTreasury - 12073 კონსულტაცია; სხვა სისტემები - 985 კონსულტაცია.
ტექნიკური მხარდაჭერა:

სამსახურის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა 4595 ტექნიკური გამოძახების შესრულება და შესაბამისი მომსახურების გაწევა.
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ შენობაში, IP ტელეფონიის ახალი აპარატურის დანერგვასთან დაკავშირებით, მომხმარებელთა სამუშაო ადგილებზე გაიმართა 465 ახალი ტელეფონის აპარატი.

8. ადამიანური რესურსების განვითარება

საანგარიშო პერიოდში, სამსახურმა საჯაროდ გამოაცხადა (hr.gov.ge) კონკურსი 24 ვაკანსიაზე. გამოცხადებულ კონკურსებში განცხადება შემოიტანა სულ 1089 კანდიდატმა, აქედან კონკურსის მეორე ეტაპზე - გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 70 კანდიდატი, ხოლო საშტატო თანამდებობებზე დაინიშნა 18 პირი. შტატგარეშედ გასაუბრებაზე მოწვეულ იქნა 75 კანდიდატი, დაინიშნა 23 პირი.
ჩატარდა თანამშრომლების შიდა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით, რომელიც მოიცავდა არაფინანსურ მოტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. გამოკითხვის შედეგები შეჯამდა და პრეზენტაციის სახით წარედგინა სამსახურის ხელმძღვანელობას. შედეგად, გაფორმდა ხელშეკრულება ახალ სადაზღვევო კომპანიასთან, სადაც თანამშრომლები ისარგებლებენ ჯანმრთელობის დაზღვევით.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც გამოიყენება კონკურსში მონაწილე კანდიდატებთან გასაუბრების დროს.

ჩამოყალიბდა სამუშაოს აღწერილობის ახალი მეთოდოლოგიური მოდელი, რომლის მიხედვით მიმდინარეობს სამსახურის თითოეულ პოზიციაზე სამუშაოს აღწერილობის შედგენა.

ტრენინგების საჭიროებათა ანალიზის კითხვარში მონაწილეობა მიიღო სამსახურის 89 თანამშრომელმა. შესაბამისად, შემუშავდა 2014-2015 წლების სასწავლო გეგმა, რომელიც მოიცავს ზოგადი სახის 23 ტრენინგს და 56 სპეციალიზებულ ტრენინგს IT სფეროში.

მუშაობის პროცესშია თანამშრომლის სახელმძღვანელო, რომლის დასრულებისთანავე მოხდება თანამშრომლების ინფორმირება.

სამსახურში პრაქტიკას გადიოდა 2 პირი.
სამსახურის თანმაშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა თემატიკის ტრენინგკურსებში და სემინარებში: ადამიანური რესურსების მართვა, ელექტრონული მთავრობის სერვისები, მონაცემთა და დოკუმენტების ელექტრონული და ციფრული არქივირების საკითხები, ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების მსოფლიო საუკეთესო პრაქტიკა, ეფექტური კომუნიკაცია და მომსახურეობა და სხვა.